საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №285/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- -- და -- -- 2018 წლის 22 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 იანვრის №285/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელი სასამართლოსგან ითხოვდა ანგარიშის ჩაბარებას თუ რა სტადიაშია სამოქალაქო საქმე. მითითებული ფაქტი საჩივრის ავტორებს უჩენს ეჭვს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია სასამართლოზე განხორციელებული ზეწოლის და მოსამართლის საქმიანობაში უხეში ჩარევის შედეგად.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 2 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 2018 წლის 3 ოქტომბერს სასამართლოდან გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2018 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 2 ოქტომბრის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე. 2018 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით -- -- დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის შესავსებად. 2018 წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაზე წარმოებაში იქნა მიღებული. 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 8 ნოემბერს.

2018 წლის 2 ნოემბერს -- -- დირექტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავდაპირველი მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლა. 2018 წლის 7 ნოემბერს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 8 ნოემბერს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე. 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელე - -- -- შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - -- --.

2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2018 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა. 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით დაინიშნა ექსპერტიზა; ექსპერტის დასკვნის მიღებამდე შეჩერდა აღნიშნული საქმის წარმოება.

2018 წლის 20 ნოემბერს -- -- დირექტორმა სასამართლოში წარადგინა საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებაზე. 2018 წლის 6 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

2018 წლის 6 დეკემბრის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება, -- -- სარჩელის გამო მოპასუხე -- -- მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე; სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 10 დეკემბერს. 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინებით დაინიშნა ექსპერტიზა; ექსპერტის დასკვნის მიღებამდე შეჩერდა აღნიშნული საქმის წარმოება.

2018 წლის 13 დეკემბერს შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე გადაეცა მოსამართლე -- --.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 იანვრის დასკვნა:

-- --, -- -- და -- -- 2018 წლის 22 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 2.1 მუხლის

თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მნიშვნელოვანია რომ მოსამართლეებმა ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად დაიცვან და პატივი სცენ იმ ნდობას, რომლითაც საზოგადოება ეკიდება და იზრუნონ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე (*Micallef v. Malta* [GC], §95) და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (*Kyprianou v. Cyprus* [GC], §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (*Castillo Algar v. Spain*, §45, *Micallef v. Malta* [GC], §98).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა

იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

საქმის მასალების მიხედვით, 2018 წლის 12 ნოემბერს საქართველოს შსს -- -- სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის - -- -- მიმართვის წერილით სამოქალაქო საქმეზე ინფორმაცია და საქმის მასალები მოთხოვნილია -- -- სამმართველოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად. რაც ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება მოსამართლის საქმიანობაში ჩარევად. შესაბამისად საჩივრის ავტორის განცხადება, რომ დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი სასამართლოსგან ანგარიშის ჩაბარებას ითხოვდა, არ დასტურდება და აღნიშნული ფაქტი ვერ ჩაითვლება მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №285/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი